ოქმი:**ო37. 37232976**
თარიღი:**24/10/2023**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ნინო ნადირაშვილის

ანგარიშის მოსმენის სხდომის

ოქმი

2023 წელი, 19 ოქტომბერი
ქ. ოზურგეთი
13:00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: საკრებულოს წევრის ამომრჩევლები, კოლეგები,საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი პირები.

ანგარიშის მოსმენის დაწყებამდე სხდომის თავმჯდომარე დავით დარჩია მიესალმა დამსწრეთ, ამომრჩევლებს - აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო ეტაპი-საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება. დ. დარჩიამ აღნიშნა,რომ ნინო ნადირაშვილი არის „ფრაქცია ქართული- ოცნება დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილე.თითქმის ყოველდღიური კონტაქტი აქვს ამომრჩევლებთან,ზრუნავს მათი პრობლემების მოგვარებაზე.

საკრებულოს წევრმა ნინო ნადირაშვილმა საკრებულოს რეგლამენტის 131 -ე მუხლის შესაბამისად წარმოადგინა მის მიერ საანგარიშო პერიოდში როგორც საკრებულოს, ფრაქციასა და კომისიებში, ამომრჩევლებთან, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან ერთობლივად გაწეული მუშაობის ანგარიში.ისაუბრა საანგარიშო პერიოდში ამომრჩევლების მიერ დაყენებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გაწეულ საქმიანობაზე. ინფრასტრუქტურულ პროექტებზე,საკანალიზაციო მილების მოწყობაზე,სანიაღვრე არხების მოწესრიგებაზე, სოციალურ პროგრამებზე, ონკოლოგიურად დავადებულ პაციენტთა დახმარებაზე, სოციალურად დაუცველების დასაქმებაზე. საანგარიშო პერიოდში,ასევე ნინო ნადირაშვილის მიერ განხორციელებული საქმიანობიდან აღსანიშნავია:ტრენინგი გენდერული თანასწორობის თემაზე. ფინანსთა სამინისტროს მიერ ორგანიზებული ტრენინგი ბიუჯეტის მართვის თაობაზე.მონაწილეობა მერიისა და საკრებულოს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებზე.

ნინო ნადირაშვილმა ისაუბრა საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობით მიღებულ შედეგებზე: ქ. ოზურგეთში ბესიკის ქუჩაზე ჩატარდა სკვერის კეთილმოწყობის სამუშაოები,დასრულდა ვიქტორ დოლიძის N13-ში მდებარე შენობის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები. რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე-დოლიძის,ბოლქვაძის,ჭავჭავაძის,აგრეთვე გაბრიელ ეპისკოპოსის, რუსთაველის ქუჩების და იქ განთავსებული შენობა-ნაგებობის აღდგენა- რეაბილიტაციის სრულმასშტაბიანი სამუშაოების ჩატარება

ამომრჩევლებმაც და კოლეგებმაც მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ ანგარიშს. საკრებულოს წევრის ნინო ნადირაშვილის საქმიანობა შეფასებულია დადებითად და უსურვეს მას წარმატებები მომავალ საქმიანობაში.

გამოთქმულ შეფასებებს დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარე დავით დარჩია და აღნიშნა, რომ ანგარიში სრულად პასუხობს რეგლამენტის მოთხოვნებს, უსურვა წარმატებები მომავალ მუშაობაში.

ამომრჩევლების და დამსწრეთა საერთო აზრით, სხდომის თავმჯდომარის დავით დარჩიას წინადადებით, საკრებულოს წევრის ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი